BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/92

ქ. ბათუმი, 10 იანვარი 2019 წელი

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის გამოცხადება, ვაკანტური ადგილების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე

ვხელმძღვანელობ რა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ", სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №1134/ი ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმ-"ში გამოცხადდეს მობილობა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მედიცინის ფაკულტეტზე.
2. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მედიცინის ფაკულტეტზე განისაზღვროს 5 ვაკანტური ადგილი, მობილობის მსურველ პირთათვის.
3. მობილობის წესით 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან მობილობის მსურველმა კანდიდატებმა:
ა) უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე https://students.eqe.ge ;
ბ) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის წესით შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში" მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხვის უფლებას 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაცია უნდა გაიაროს 2019 წლის 07-09 თებერვლის ჩათვლით 18:00 საათამდე;
4. შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაციისათვის მობილობის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

6010, ქ. ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ., № 14
ტელ.: + 995 (422) 21-25-35/36
ფაქსი: + 995 (422) 21-25-37
ელ.-ფოსტა: info@bauinternational.edu.ge

საიდენტიფიკაციო კოდი
Identification code
445434888

14,General Aslan Abashidze str, Batumi, 6010
Tel.: +995 (422) 21-25-35/36
Fax: +995 (422) 21-25-37
E-mail: info@bauinternational.edu.ge

ა) განცხადება რექტორის სახელზე (განცხადება ივსება ადგილზე);
ბ) ამონაწერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
დ)გავლილი საგნების სილაბუსები (უნივერსიტეტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში);
ე) ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);
ვ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
ზ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის ასლი;
თ) 4(ოთხი) ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია, ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკი);
ი) გრანტის არსებობის შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება გრანტისა და სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ ინფორმაცია;
კ) ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით.
5. მობილობის მსურველ კანდიდატთა წერილობითი სახით პირადი საქმის ასლების წარმოდგენის ვადაა 2019 წლის 7-8 თებერვლის ჩათვლით 18:00 საათამდე;
6. მობილობის მსურველ კანდიდატთა კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება დაევალოს მედიცინის ფაკულტეტს. მობილობის კანდიდატთათვის გაცნობა და თანხმობის შესახებ წერილობითი დასტურის მიღება განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 12 თებერვლის ჩათვლით 12:00 საათიდან 18:00 საათამდე;
7. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მიწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის უზრუნველყოს იურიდიულმა სამსახურმა არაუგვიანეს 2019 წლის 06-14 თებერვლის ჩათვლით.
8. მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და რექტორისათვის წარდგენა დაევალოს იურიდიულ სამსახურს არაუგვიანეს 2019 წლის 1 მარტისა.
9. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში დაევალოს საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსს არაუგვიანეს 2019 წლის 04 მარტისა.

10. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა დაევალოს საერთაშორისო მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსს არაუგვიანეს - 2019 წლის 05 მარტისა.

11. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი და ადმინისტრაციის უფროსი.

12. სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიისა და არქივის სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება (ვებ-გვერდზე) და პასუხისმგებელ პირთათვის ასლის მიწოდება.

13. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ